№ 102 მაისი 24, კვირა 1887 მაისი 24, კვირა № 102

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეველის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

**დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს 27 მაისს.**

ტფილისი, 23 მაისი

დღეს კიდევ მოგვივიდა ამბავი სიღნაღის მაზრიდამ, რომ დედოფლის-წყაროს ახლო-მახლო სოფლებსა და შირაქის მინდვრებში დიდძალი მკალია გამოჩენილა. ჯერ მკალია, ვითარცა ახლად გამოჩეკილი, კუტია და ფრთები არ შეუსხამს თურმე. მაშასადამე, ამ საშინელს მტერს ქვეყნის კეთილ-დღეობისას ეხლავე უნდა გაემკლავოს კაცი, თორემ პატარა ხანს შემდეგ, როცა ფრენას დაიწყებს, მისი გაწყვეტა შეუძლებელი-ღა გახდება და მოსჭამს თუ არა იქაურობას, სხვა მხარეებსაც ეწვევა და ერის ნაწვავნადაგს მოსავალს გაანადგურებს.

როცა გუბერნატორად თ. გაგარინი ბძანდებოდა ტფილისის გუბერნიაში, მაშინაც ეს საშინელი მტერი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენებური ერი მანამდე დარწმუნებული იყო, რომ ეს ამისთანა უბედურება მოევლინება ხოლმე ქვეყანას ღვთის ნებითა და ამიტომაც ჭიდილი ამ უბედურებასთან თითქმის ღვთის გმობად და განგების წინააღმდეგობად მიაჩნდათ. ეს ამისთანა რწმენა იყო მიზეზი, რომ ჩვენი ერი გულ-ხელ დაკრეფილი შეჭყურებდა ამ საშინელს მტერს და თუ მოელოდდა რასმე თვისდა სანუგეშოდ, ისევ ღვთისაგან მოელოდდა. ამასობაში მკალია თავისას არ იშლიდა და მინამ დრო ჰქონდა და ყანები საზდოს იძლეოდა, აოხრებდა მთელის ქვეყნის საიმედო შირნახულსა; ფრთების შესხმის შემდეგ ერთ მოძოვილ და მოოხრებულ ადგილიდამ მეორეზედ გადადიოდა და კვერცხის დადებამდე რასაც მოასწრობდა, პირქვე ამხობდა. ამ სახით, არამც თუ მარტო ერთის წლის მოსავალს შეიწირავდა ხოლმე ეს გაუმაძღარი და ხარბი მტერი, არამედ მეორე წლისათვისაც ბინას იკეთებდა, რადგანაც აუარებელს კვერცხს სამერმისოდ იმავ ადგილებში ჰყრიდა, საცა დრო და ჟამი ამისათვის მოესწრობოდა.

თ. გაგარინის სამაგალითო თავგამოდებამ და მხნეობამ ეს ასეთი მავნებელი რწმენა ერისა მკალიის შესახებ მთლად შეჰმუსრა და ცხადის მაგალითით დაუმტკიცა ერს, რომ მკალიასთან ბრძოლაც შესაძლებელია ადამიანისათვის და არც ღვთისათვის არის საწყენი. ჩვენ გვახსოვს, რომ თითქმის მთელი ქართლ-კახეთი თ. გაგარინმა ფეხზედ დააყენა, დიდ-ძალი ხალხი გამოიყვანა მინდვრად და ვიდრე მკალია ფრთას აისხამდა სრულიად გაანადგურა და იმ წლის მ.ასავალი შეურჩინა ქვეყანასა. ჩვენ თვითონ ჩვენის თვალით გვინახავს, რომ თ. გაგარინი სიცხე-პაპანაქებაში მინდვრად მუშებ შორის მდგარა დილიდამ საღამომდე და ისე უმუშავებია ხალხი და გაუმხნევებია თავის სიტყვითა და თავზედ დგომითა.

ამისთანა სიყვარულით აღსავსე მოქმედებამ თ. გაგარინისამ იხსნა ქვეყანა შიმშილის უბედურობისაგან და ისეთის სისწრაფით გააწყვეტინა ხალხს მკალია, რომ მკალიამ სამერმისოდაც კვერცხის დაყრა ვერ მოასწრო. ეს ღირს სახსოვარი მოქმედება იმითიც არის შესანიშნავი სხვათა შორის, რომ ხალხს მისისავე საკუთარის თვალით დაანახვა, რა შეუძლიან მხნეობას, და იგი მავნებელი ამაოდ-მორწმუნეობა, რომ მკალიას, ვით ღვთის რისხვას, ხელი არ შეებრუნება, მთლად ამოჰკვეთა ხალხის გულისაგან. ხალხმა მას აქედ იმედიც მოიცა ამ მტერზედ გამარჯვებისა და ხერხიც გაქლეტისა ისწავლა.

რა თქმა უნდა, რომ ყოველივე ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, ვიდრე მკალია კუტია და მაშასადამე მდევარს ვერსად წაუვა და ადვილად სახოცია. ეხლა გამოჩეკილი მკალია თიბათთვეში ფრთებს შეისხამს და მაშინ შეუძლებელი-ღაა გაფრენილს მკალიას ძრიელ ევნოს რამე. მართალია, საცა მკალია გაჩნდება ხოლმე, იქ ტარბი უსათუოდ მოვა და ეს დაუძინებელი მტერი მკალიისა მუსრს აადენს ხოლმე, მაგრამ ჯერ არსად მომხდარა, ტარბს იმოდენა შესძლებოდეს, რომ მკალია სრულად გაექლიტოს და მოსავალი გადაერჩინოს. ამიტომაც საჭიროა ეხლავ შეეჭიდოს კაცი მკალიას, მინამ კუტია. ეს შეჭიდება ორ-ნაირად სანატრელია: ერთი რომ წლევანდელს მოსავალს გადაარჩენს და მეორე—სამერმისოდაც ბინას არ მოაკიდებინებს მკალიასა. მკალიამ კვერცხის დაყრა იცის აგვისტოს თთვეში. თუმცა კვერცხის დაყრის დროს თვითონა კვდება, მაგრამ თვითო მკალია იმოდენა კვერცხსა ჰყრის, რომ თუ სულ ყველა მკალიის კვერცხი გამოიჩეკა, ამ ჩვენს ქვეყანას სულ მთლად მოჰფენს.

ღონის-ძიება მკალიის სახოცად ისეთის სისწრაფით უნდა იქმნას ხმარებული, რომ მკალიამ ფრთები არ აისხას და კვერცხის დების დღემდე სრულიად შემუსვრილ იქმნას. როგორაც წერებიან სიღნაღის მაზრიდამ მკალია თურმე სწორედ ამ ხანაშია დღეს და თუ შველა სწადიან ვისმე, ეხლავ უნდა მიეშველოს, თორემ მერმე გვიანღა იქნება. ჩვენდა სასიამოვნოდ სიღნაღის მაზრის უფროსს ბ-ნ ტიზენგაუზენს უკვე მიუყვია ხელი და დედოფლის-წყაროსა და შირაქის არე-მარეში დღეს დიდ-ძალი ხალხი თურმე გაწვეულია მკალიის სახოცად. „ხალხიო, იწერება ჩვენი კორრესპონდენტი, სრულიად გაკრეფილია სოფლებიდან, დიდი თუ პატარა მამა-კაცი. ჯერ ვიდრე 40 ბოჭკა ბენზინი არის წაღებული დედოფლის წყაროდან ამ საშინელის სტუმრების დასაწველად. ტარბიც მრავალი გადმოვიდაო".

ღმერთმა ქმნას მხნეობამ, მედგრობამ და სისწრაფემ გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა იმ უბედურობას, რაც მკალიისაგან მოევლინება ხოლმე. მეტი არ იქნება, რომ ხალხის გასამხნევებლად და ხალისით საქმის მოსაკიდებლად ტფილისის უმაღლესის მთავრობისაგან გაიგზავნონ მხნე მოხელენი, რომ ვიდრე დროა და მკალიის კუტად ყოფნა ხელს უწყობს, გამოწვეულმა მკალიის სამტროდ ხალხმა მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ამ საქმესა. აქედამ გაგზავნილნი მოხელენი ჯერ მარტო იმით, რომ აქედამ არიან გაგზავნილნი, გაუორკეცებენ ხალხს მხნეობას და გარჯასა და საცა მხნეობა და გარჯაა, იქ ხომ ყველა მტერი ძლეულია.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ მზადდება დასაბეჭდად ახალი სახელმძღვანელო რუსულის ენისა ქართულის სკოლებისათვის სახელ-წოდებით „Русское Слово". ჩვენ გვქონდა შემთხვევა გადაგვესინჯნა ეს სახელმძღვანელო და საჭიროდ ვრაცხთ მოკლე ცნობა გა-

## ფელეტონი

### ცხრა-წვენა *)

### II

თეატრში ნაკლებ ხალხის სიარულის მიზეზად იმასა ჰხდიან, რომ თურმე ნიჭოსნები ტუჩს უტრუკვენ ზოგიერთთა დრამა-კომედია-ვოდევილების ქარხნის პატრონებს და მსახიობთ: საქმე მაშინ წახდაო, როცა იადონი საკაპკაპედ გახდაო. მეორე მიზეზი კიდევ ისა ყოფილა, რომ გიჟ-მაჟ დარბაისლებს საჩივარი გაუციათ: „აბა რა გულითა და სულით-ღა ვიაროთ თეატრში, როდესაც ისე გამოგვისარსარაკეს თავები მეტის აჭრელებულის სიტყვების ჭახა-ჭუხით და ღრმა, უძირო „ფილოსოფიის" ტალღებით, რომ თვალები უხალისო ყურებაში დაგვეწყდა, გონება უძირო ფილოსოფიის გამოურკვევლობაში და გული უფერულობაშიო".

საკვირველი საქმეა: ნიჭოსნები რისხდებიან: ისეთს მჭლე გონების საზრდოს იძლევიან, რო კატების ნათრევსა ჰგავსო და დარდიმანდი დარბაისლები ცხარდებიან: სიმსუქნით ვერ ვინელებთო. კაცია და გუნება: სხვადა-სხვაა ბუნება და ამისათვის მოდი შენ და აქ ისამართლე, როდესაც ყველა თავისებურის შეხედულობისაა... მერე განაგრძობენ იგივე ლოთი-ფოთი დარბაისლები: „იმოდენა ჩვენი ახალი მოდნის ობა ლამის მთლად გაკრიტიკოს - ისტორიკოს - გეიპოეტდნენ და რა გაუხდებოდათ ი დალოცვილებს ერთ ხუთის გროშის ქაღალდზე ისეთი დიდი რამ შეეზავებინათ ბერიკა-კაკუნას ოინებიდამ, რომ ჩვენც ხითხითით გავჭაჭულიყავით და ქვაც სიცილს გაეხეთქნაო".

იმ დღეს ერთი კომიკი გამოვარდნილა სცენაზე ციყვივით, თავისის ფრაკით, და აბულბულებულა ალიან-ჩალიანურის ნაწყვეტებით, ასე და ამ გვარად:

I

ვაჰ თქვენ ქალებო, გრძნეულთ ცალებო,
თქვენც ჩადროსნებო, ჭორიკანებო,
და თქვენც კაცებო ქურდ-ბაცაცებო,
შურის გუდებო და სულ მრუდებო.

II

ზღვის-პირსა იჯდა ზეზია—
ქალწული მანათობელი,
ტირილით შემდეგს მოსთქვამდა,
გულისა დამადნობელი:
„არ მინდა შენი სიმდიდრე:
იაგუნდები, ლალები,
არც ოქრო-ვერცხლი, ზურმუხტი,
არც მარგალიტის თვალები,
არცა მეფური ცხოვრება.
მისი მწვავს ცეცხლის ალები,
ვინცაა ჩემი სიცოცხლე
და ჩემი ორთავ-თვალებიო!"

III

ვაი ჩვენს ამ დროს მოსწრებას:
კაჭკაჭნი ორატორობენ,
ხნიკვები კრიტიკოსობენ,
ყვავები რედაქტორობენ!..

IV

მნათობთა რიცხვი მატულობს,
შავი დღე გვითენდებაო,
ისარე ჩვენო ქვეყანავ,
დუშმანიც მოგიკვდებაო.

V

ღმერთს ჩვენთვის საერთოსუფრად
მიწა უმწყალობებია,
დახედეთ სულ-მართლობას!
მაგრამ მგელს ჯორის სურსათი
თვისკენ გადუდაგებია,
დახეთ უსამართლობას!!

VI

მე თუ ვერ მივწვდი სისწრაფით
ბედ-შავი გულის ნებასა,
არც შენ შეგარჩენს, მდიდარო,
საწუთრო ფუფუნებასა.

VII

მე შენთვისა გკვდებოდი,
მაგრამ არ შემიბრალე,
მტერსაც ვეცოდებოდი,
მაგრამ არ შემიბრალე,
სიცოცხლეს ცრემლად ვღვრიდი,
მაგრამ არ შემიბრალე,
წაველ სოფლავს ვითხრიდი,
მაგრამ არ შემიბრალე.

VIII

მომაცალეთ, დამაცალეთ,
მერე მნახეთ რა ბიჭი ვარ,
თუ სახეთქიც მზად მექნება,
მაშინ მნახეთ, რა კოჭი ვარ!..

X

„ქალო საბარდიანო,
გაქვ და გახარიანო,
ხაბარდა რო გაგიცვდება,
თვალიც მაშინ დაგიდგებაო".

და კიდეც ამ დროს ვიღაცა „ბუბლიკათა"-განს შეუძახნია კომიკისთვინ: „ბარაქა შენს დაჩრიხვებულ ჩხვინკებს, ძმობილო, ჭკვისაგან დათმობილო, შე ბაყაყო მოყიყინე, თავი რაზე შეგვაწყინე, კარგი გაბრუნდი და აღარ გამოჰბრუნდეო". ზოგსაც შეუსტვენია და კომიკს ესა სწყენია, სტკენია, შეჰრცხვენია და... სიტყვა-დაუთავებელი გავარდნილა სცენიდამ, რომელსაც წინ ერთი ვიღაცა კუდა-ფილოსოფოსი შეჰხეჩებია შემდეგის სიტყვებით:

„სირცხვილი შენთვის, შე გამოცრუებულო, სულით დაცემულო და წყალ-წაღებულო, რომ არ იცი: „ერთ ყურს ჰქვიან ისმინეო, მეორესა ისხლიტეო". დიახ, დიახ, ჩემო ხელმწიფე, ეს ასე ყოფილა, ასევე იქნება და არის კიდეც: გალობს შოშია, ჯაერობს გოშია. შენ სხვას რა ყურს უგდებ, სხვა-და-სხვა თავიდამ სხვადა-სხვა ჭკუა გამოდის. რამდენჯერ უნდა გითხრა: როს იმედს იწყვეტს ბრძენია, მაშინ ისიც რეგვენია. ზღვას ხმელეთად გარდავაქცევ და შენ-კი, ძმავ, ვერ მოგაქცევ. არა, რაღა თქმა გინდა: „თუ გინდა რომ იყო კაცი, იყავ ფხიზელი მამაცი". [1]) ეჰ, ჩემო გოგიტელავ, შენ კიდევ ყმაწვილი ჰყოფილხარ.

„ვინც ცხოვრების დასაწყისში მაინც არა ყოფილა სულელი, ის არას დროს არ იქნება ბრძენიო" [2]) და შენ ხომ დიდი ხანია გიხდია სულელობა და მაშ რაღა განაცარქექიავებს, თუ არა მოუხეშავის ხასიათის სილაჩრე? კარგის გამოცდილის ცოდნით მოქენ ხასიათი, ჩემო მტერ-მოყვარე, თორემ უბედური მასხარა იქნები. რა ადამიანსაც კეთილ-გონივრულის ხასიათის სიმტკიცე და სიფხიზლე არ მიზდევს, ის მამაცურს ენერგიასაც მოკლებულია, ურომლოთაც იგი სამარცხვინო, მხდალი მონაა.

ენერგია, ძალ-გულოვნობა და გამოცდილებით ნათელ-ცხებული ხასიათი ისეთი უდიდესი და უსაჭიროესი იარაღია ადამიანის გონების წესიერად გამჭრიახობისათვის და ლოგიკურის ძალ-ღონის გამოხატულებისა-

*) იხ. „ივერია" № 88

1) გიოტე

2) გეინე

რდავსცეთ მკითხველს მასზედ. სახელძღვანელო იწყება ესრედ წოდებულის ლექსიკურის განყოფილებით, რომელსაც დანიშნულებადა აქვს ასწავლოს ბავშვებს რუსული სახელები გარეშემო საგნებისა, მათის მოქმედებისა, მდგომარეობისა, თვისებისა და დააჩვიოს კანონიერად შედგენას წინადებათა ამ სახელებიდგან. ამ განყოფილებას მოსდევს რუსული ანბანი, შედგენილი შემოკლებულს სინკრეტიულს მეთოდზედ. ანბანის შემდეგ შეგხვდებათ განყოფილება რუსულის თვალ-საჩინო გაკვეთილებისა, რომელიც შეიცავს პატარ პატარა აღწერას გარეშემო საგნებისას სხვა-და-სხვა ვარჯიშობებით რუსულს ენაში. ამას მოსდევს პირველი საკითხავი წიგნი, რომლის დამზადებას ავტორი ახლა ადგია და რომელიც ორ ნაწილად განიყოფება: პირველი ნაწილი შეიცავს უმეტესად ქართულის ენიდგან ნათარგმნს მოთხრობებსა, მეორე ნაწილი—წმინდა რუსულს ნაწარმოებთ. ერთი განსაკუთრებული თვისება ამ ახალის წიგნისა ის იქნება, რომ მასში ქართველი ბავშვები შეხვდებიან ქართულს საუკეთესო საბავშვო ლექსებს რუსულად ლექსადვე თარგმნილს. ეს თარგმანი უკისრნია ერთს რუსის პოეტს, რომლისათვისაც წიგნის ავტორს გაუგზავნია პროზად თარგმანი ამ ლექსებისა. წიგნი თავდება ქართულ-რუსულ ლექსიკონით. ამ წიგნში სხვათა შორის მოქცეული იქნება მრავალი სურათები; წიგნი ამ რამდენისამე თთვის შემდეგ დაიბეჭდება.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას გადაუწყვეტია დაბეჭდვა ერთის ძველის ხელნაწერის წიგნისა, რომელსაც „არჩილიანი" ეწოდება. ამ წიგნის დაბეჭდვა ჯდება სამოცი თუმანიო.

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა სტამბიდამ „ვეფხვის-ტყაოსანი", პოემა შოთა რუსთაველისა. ამ წიგნს ჰბეჭდავს გრ. ჩარკვიანის სტამბა.

⁂ მალე დარიგდება გასასყიდად მაღაზიებში ცალკე წიგნად დაბეჭდილი თხზულება დ. მაჩხანელისა „ძმური სიტყვა". ეს წიგნი ძვირად არ ეღირება და სასურველია, რომ ხალხში ბლომად გავრცელდეს.

⁂ ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ ამ დღეებში იქნება წლიური კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაო. ეხლა ნამდვილად შევიტყეთ, რომ ეს კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 27 მაისს, საღამოს რვა საათზედ. წაკითხული იქნება ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1886 წლის განმავლობაში. კრება მოისმენს აგრეთვე ანგარიშს ბაღოსნობის სკოლის მოქმედებისას და მდგომარეობისას წარსულის წლის განმავლობაში; ამას გარდა ბ-ნი ი. ო. იოსელიანი წაიკითხავს შემდეგს მოხსენებას: მნიშვნელობა უფლებრივის ურთიერთობისა და დამოკიდებულებისა მეურნეობაში. დასასრულ, კრება აირჩევს საზოგადოების თავს-მჯდომარის ამხანაგსა და მდივანს.

⁂ გუშინ-წინ, 21 მაისს, დაიბეჭდა, დიდის ხნის განსვენების შემდეგ, 23-ე ნომერი გაზეთ „ცისკრი"-სა. ამ ნომერში შემდეგი წერილებია: ორიოდე სიტყვა ღვინის კეთებაზე, მოწერილი მონპელიედამ; ჩვენი ხორბალი ევროპაში, მოწერილი მარსელიდამ; მაისი (ლექსი); ახალი ამბები; სასარგებლო ცნობანი, საქონლის ჭირი და დარიგება; როგორ უნდა გაკეთდეს შინაური ხიზილალა. ყველაზე საყურადღებოა ამ ნომერში განცხადება თვით რედაქციისა: „ჩვენ გადავწყვიტეთო—ამბობს რადაქცია,—სრულიად გადავაკეთოთ ჩვენი გაზეთი, შევუცვალოთ სახელი, პროგრამმა, ფორმატი, ფასი და რედაქტორად მოვიწვიოთ პირი სამეურნეო საქმეში მომზადებული, განვითარებული და ყველასაგან პატივცემული. ამას მოუნდება რამდენიმე თთვე და ამის გამო ჩვენ გაზეთის გამოცემა იძულებული ვართ შევაჩეროთ შემოდგომამდისა. წლევანდელი ხელის მომწერნი, რაც წრეულს დააკლდებათ ნომრები, შემდეგს წელიწადს სრულად მიიღებენ.

⁂ კახეთიდამ გვწერენ: ამ 18 დღის წინად გამოჩნდა მთელ დედოფლის-წყაროს გარშემო სოფლების ბოლოებში და აგრეთვე შირაქის მინდვრებში ურიცხვი მკალია. მკალიას შავი ფერი აქვს და პატარ-პატარა ფრთები ასხია. ჯერ ფრენა არ შეუძლიანთ, თორემ აქამდე სრულიად გაგვიოხრებდნენ მოსავალსა. მცოდინე და გამოცდილი კაცები ამტკიცებენ, რომ თიბათვეში უსათუოდ ფრენას დაიწყებს ეს კუტი-მკალიო. უკეთუ ვერ მოასწრეს მანამდე მკალიის გაწყობა, დიდი ზარალი მიეცემა კახეთს. მკალიის ხოცვა დედოფლის-წყაროსა და შირაქის მინდვრებზე უკვე დაიწყეს. ხალხი სრულიად გაკრეფილია სოფლებიდამ მკალიის სახოცად: დიდი თუ პატარა ყველა მისია მკალიას. ჯერ-ჯერობით 40 ბოჩკა ბენზინი არის წაღებული დედოფლის-წყაროდამ ამ საშინელის სტუმრის დასაწველად. ტარბიც მრავალი გადმოვიდა. უკეთუ ზოგიერთ ადგილას აფრინდა მკალია, ხალხს დიდი იმედა აქვს ტარბისა, რადგან ტარბი მტერია მკალიისა და ძრიელაც ჰხოცავსო.

⁂ მკალია გაჩენილა იალღუჯაზედაც, ყაზახ-ბორჩალოს მაზრაში. თუმცა ხალხი გაუყვანიათ მკალიის სახოცავად, მაგრამ ჩივიან, რომ ისეთის გულ-მოდგინებით არ ეკიდებიან, როგორც საჭიროა ამ საშინელის მტერის ასაცილებლადაო და თუ ეხლავ არა ეშველა რამ ამ საქმეს, მერე გვიანღა იქნება და ეს მშვენიერი პირი წლევანდელის მოსავლისა ხელიდამ გამოეცლება ხალხსა და მთლად დაეღუპებაო.

⁂ გაზ. „მწყემსი" სწერს, რომ მომავალის თთვის ივნისის 15-ს იმერეთის სამღვდელოებას კრება ექნება ქ. ქუთაისში. ამ კრებაზე სამღვდელოებამ უნდა გამონახოს საშუალება ტფილისის სემინარიის მესამე კლასთან პარალელურის განყოფილების გასახსნელად და შესანახავად. ამ განყოფილებას სჭირდება წელიწადში 1,500 მანეთი. ეს 1,500 მანეთი ეთხოვება წელიწადში მარტო იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას. ქართლის და კახეთის სამღვდელოება თავისუფალია ამ გარდასახადისაგანაო. ჩვენის ფიქრით, საჭიროა, რომ ვლადიკავკავის და აფხაზეთის ეპარქიების სამღვდელოებამაც იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამ გადასახადში, რადგან მათი შვილებიც იზრდებიან ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ეს კითხვა საჭიროა დაადგინოს სემინარიის სამმართველოს მოთხოვნილებისამებრო.

## გურიის ამბები

გურიაში ეხლა ვინ არა სჯის და ვინ არა ლაპარაკობს იმ 18,047 მან. და 16½ კაპეიკზე რომელსაც სამხედრო სურსათის გამგეობა ახდევინებს სამს აჭარს სოფლის საზოგადოებას. ეს საქმე მეტად დახლართული საქმეა და ჯერ-ჯერობით არავინ არ იცის, როგორ გადაწყდება სასამართლოში.

აი როგორ გაჩნდა ეს საქმე: წარსულის ოსმანოსის დროს (1877—1878 წ.) ერთი აჭარი კაცი შეჰკვრია პირობით სამხედრო სურსათის გამგეობას და უკისრნია სურსათის გადაზიდვა ორპირიდგან, სამტრედიიდგან და სხვა ადგილებიდგან იქ, სადა გამგეობა დაუნიშნავდა. ამ კაცს უთქვამს გამგეობისათვის, რომ მე ვექილი ვარ ამა-და-ამ სოფლის საზოგადოებისაო და წარუდგენია კიდეც ნოტარიუსისაგან შემოწმებული რწმუნების ქაღალდი. ომიანობის გათავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პირობა დარღვეულა ვექილისა და სასოფლო საზოგადოებათა მხრით. ინტენდანტსტვომ საქმე შეიტანა ამაზე და სამართალში მისცა ზემოხსენებული სამი საზოგადოება: ედავება 18047 მან. და 16½ კაპ.

როცა ეს ამბავი გაიგეს სოფლებმა, განცვიფრდნენ და უარი გამოაცხადეს: ჩვენ ამ საქმეში არაფერი არა ვიცით-რა, და არც არავისთვის ქაღალდი მიგვიცია ვექილობისაო; ეგ სულ განგებ თუ მოხერხებულიო და თავის მხრითაც შეიტანეს ვექილზე საჩივარი: უთუოდ ვექილს მხრით აქ ყალბობაა ჩადენილიო.

ამბობენ, რომ ამ საქმეში ბევრი ანაფორიანებიც ურევიანო. ენახოთ, რით გათავდება საქმე. იმედია, რომ ამ საქმეს ჩაილურის წყალს არ დაალევინებენ.

**

ერთს ამ გვარს ჩაილურის წყალ დალეულ საქმეთაგანს ეკუთვნის სხვათა შორის აკეთის სასოფლო სკოლის საქმეც. რადგანაც სკოლა და მისი ავ-კარგი დიდს შესანიშნავ საგნად მიმაჩნია, როგორც პროვინციელს მოამბეს, არ შემიძლიან ამ სკოლაზედ არა გითხრა რა. «ივერიის» მკითხველებს უნდა მოეხსენებოდეთ (იხ. «ივერია» №100 1886 წ.), რომ აკეთის სკოლა მეტად ცუდს ადგილზედ დგას. წარმოიდგინეთ, ყოველის მხრიდგან გორაკებით შემოზღუდული ჭაობიანი და დაბალი ადგილი, რომელსაც ორი ბაყაყებით სავსე ღელე ჩამოუდის; წარმოიდგინეთ, ამ ჭაობებიდგან და წუმპეებიდგან ჰაერში გარეული ორთქლი, ამას ზედ დაუმატეთ დამპალის თევზის, წამხდარის ხორცეულობის და სხვა ამ გვარ სისუფთავისთვის კეთილ-სურნელოვანება, რომელსაც აჭარული დუქნები ჰმატებს ჰაერს; გაიხსენეთ აგრეთვე ისიც, თუ რა გვარი ხალხი ეტანება დუქნებს; როგორი ბრძნული ბაასი, თავ-დაჭერილი ხუმრობა, საამო საუბარი ჯოჯოხეთის უფროსებისაგან. ახლა ესაც უნდა მოგახსენოთ, რა უპასუხნია ფშუტაძეს კრილოვისთვის: „Не приведи Богъ служить по ученой части: всего боишься. Всякій мышается, всякому хочется показать, что онъ тоже умный человѣкъ"... (გოგოლი).

---

თვის, რომ უიმათოთ ვერავინ დაიმსახურებს, ათასი განათლებულიც იყოს, ვერც გენიოსის სახელს, ვერც მტერთა და მოყვარეთაგან პატივს, ვერც სიტყვას საქმედ გადააქცევს, ვერც მტკიცე განზრახვისა იქნება და ვერც ბედ-უბედობაში გაიმარჯვებს. დიახ, ჭკუა კარგი სამკაულია სულისა, ჩემო გოგია, კარგი, და კაი სამკაულს კაი პატრონობაც უნდა. თუ ჭკვიერი ხარ და გიჭრის თვალიც, აწმყოც შენია და მომავალიც.

„აქტორს მარტო ზეპირად როლის დასწავლა როდი შეჰქმნის დიდებულ არტისტად, თუ-კი იმ როლის ტურფა-ხელოვნურად გამოთქმისა და მის შესაფერის ჟესტიკულიაციის ასრულებაც არ ეცოდინება, სხვაფრივ რომ ვსთქვათ: საქმე ხმლის აღება-კი არ ალი, საქმე მოხმარებაა, საქმე სიტყვების თუთიყუშივით გამეორება-კი არ ალი, საქმე იმის, სულ-ხორცის ბუნებითს მოძრაობაში, სინამდვილით გამოხატვაა. ეგრე, ჩემო ელიზბარო, მკვახე-მკვახედ მოუბარო.

„გენიოსი ხანგრძლის შრომისაგან იბადებაო, ამბობენ მეცნიერნი და მართალიც არი. მაშასადამე იმთენი უნდა იმხნეოს და იმეცადინოს ადამიანმა, რომ ან სურვილს მოეწიოს და ან, მხოლოდ, მაშინ გადიწყვიტოს იმედი და თქვას: აი ჯაფაში დავლიე სული და ეხლა კი მწამს, რომ ღმერთს ჩემთვის ნიჭის ნამცეციც არ მოუციაო, როცა დიდის ხნის შრომით წამებული თავისი გონებაც ხელს მოუწერს. მაგრამ ვაი თუ ზოგი იქ ეჩრებოდეს, სადაც მას არ ეკუთვნის,—ეს სწორედ ასეც უნდა გახლდეთ, თორემ „ყველა ჩვენთაგანს შეუძლიან დაიმსახუროს კეთილი სახელი, თუ კი ყველა თავის საფერისს ადგილას აასრულებს თავის ვალს"[1]). მაგრამ უბედურებაც ესაა, რომ ზოგან მჭედელი მესაათობს და ზოგან მესაათე ნალბანდობს, რადგანაც სააჯამეთოში კაცუნა ოქროს ფასად გადის და კაცში კი პანტის ფასსაც არ იძლევიან. მახლას!.. ყველას ჭკუა თვალებში როდი აქვს; ხელოვანს ხელოვანი დააფასებს, არ დაივიწყო, თორემ „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია".

„აი ეს იყო ჩემი ახსარება: მადლსა ღვთისას ხალხის უმადურობა ვერას დააკლებს, მხოლოდ შენ ეცადე და გამოიცადე ყოვლად საჭირო ცოდნაში. გამოცდილების მოყვარეს მტკიცე, უშიშარი და უეჭვო ჭეშმარიტება დაემოყვრება ჭკუის ძლიერებისა და ბედნიერების მოსანიჭებლად. და ესაც იცოდე, რომ საქმე გაგონება კი არალი, საქმე დახსომებაა. ეგრე, ჩვენო კოტეო, ჩვენო მეწალკოტეო".

ყველა-ყველა, ბიძაჩემო, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, მე ისევ იმ ქეიფოსანი „ბუბლიკის" ანდამატურის ჭკუის მსჯელობა მიზიდავს თავისკენ. მართლაც და იმოდენა კრიტიკოს-ისტორიკოს—„რაზსკაზჩიკოსნი", თუნდა გრამმატიკასტნი და თუნდა „პედაგოგნიც", რომ იქითა ბძანდებოდნენ, ჯერ მარტო პოეტების რიცხვის აწერასაც ვერავინ აუვა ჩვენში. რასაკვირველია, ზოგს ეს ძალიან ეუცხოება და იტყვის: აი, დიდება შენდა, ქრისტე-ღმერთო, ე რა ხელ-ქმნილი პოეტების ბუდე ყოფილაო, მაგრამ აბა ახლა ესაც იცოდნენ, რომ „ჩვენი საქართველო სულ პოეტურად არის აშენებული"[2]) და ენახოთ: ოლოლო ჩვენ, გვიკვირდა და ამას კი აღარა ვფიქრობდით: „როგორიც ტყე იყო, ისეთი ნადირიც გამოდიოდაო", თითონვე იტყვიან თუ არა...

მეც-კი მინდოდა, ღვთის წინაშე, ვერსიფიკაციის ბადლად ჰიპოკრენა ჩამეყლაპა, რომ მწყობრთ-სიტყვაობის ხელოვნების პატენტი ამეღო და ხელად გავპოეტებულიყავ უპოეზიოდ, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, ჩვენი კიტრი+კოსები=კრიტიკოსები იგრე გამიწყრომებენ აპოლონს, რომ ზაქი მუტრუკად მეჩვენებოდეს და მუტრუკი—ზაქად.

—

ძალად სიბრძნის მეგობარს, ვილაცა ყოვლად-მეცნიერს ბაქია ფშუტაძეს, საჯაროდ უთქვამს: „გესმოდეთ, დანო და ძმანო, აწ „პირი ჩემი იტყვის სიბრძნეს და ზრახვანი გულისა ჩემისანი გულის-ხმის-ყოფასაო", და მერე გამოუცხადებია შემდეგი: რადგანაც აწინდელთა მეცნიერთ ვერ მიუგნიათ იმისთვის, რაც უფრო ქვეყნისათვის მეტი საჭირო, საჩინო და თავიდა-თავია, ამისათვის მე შევუდექ ამ წყაროების გამომდინარებასაო; და კიდევ რადგანაც მთელის ქვეყნის სახელმწიფოების ნაზირ-ვეზირებმაც ვერ მოიგონეს აქამომდე საყოველთაო კეთილ-დღეობისთვის ნეტარ-ცხოვრების საშუალებანი, ამის უტყუარი პროექტებიც ჩემის ჭკუის კიდობნიდამ უნდა იშვენო. ამასთანავე რაც-კი დამჭაყებულ სამეცნიერო საქმეებში, მისტერიოსოფიაში თუ ცრუ-სოფიას პანსოფიაში რამ იპოვება ადვილად საკითხავი და ძნელად ასახსნელი—ყველა ამაებსაც ჩემმა სიბრძნის მშობელმა გოგრამ უნდა მოჰფინოს ნათელი გაცისკროვნებულის ჭეშმარიტებისაო."

მაგრამ, დახეთ უბედურებას: იმ ღამესვე კრილოვი მოჰსიზმრებია და უთქვამ ფშუტაძისთვის: „Соседка, перестань срамиться; тебѣ-ль съ слономъ возиться? მე ხომ შენ მოხარშულსაც გიცნობ: მსუბუქი ხარ, სულ ბუქი ხარ. რატო ეს არ იცი, რომ მოლაღურის გალობას იადონი უნდა ასამართლებდეს და არა კაჭკაჭიო". ეჰ, მახლას. „მუმლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან"?? მე კიდევ ამას დავუმატებ ჩემის მხრით... მაგრამ არა, არა.. ო, უფალო, დამიფარე კუდა-ბრძენთა კინკლაობისაგან, უმეცართა მეცნიერებისაგან და

—

გალიტერატორებული დალაქი ვიროვიჩაძე მოსამართლეს დაუბარებია და უკითხავს: „გლეხები გიჩივიან, რაღაც ქაჯურისა და გაუგებარის ენით გველაპარაკებაო, მართალიაო"? ვიროვიჩაძეს გულზე ხელები გადუჯვარედინებია და მოუხსენებია მოწიწებით: «პოჟალუსტა მოიხსენე, უფალო სუდიავ, ქაჯური რა ბრძანებაა, ვაში პატიოსნებავ, ხომ ზნაიტე, რომ ჩვენ დროში ალა-მაჰმად-ხანის დროისანი უფრო აღემატებიან რიცხვთა აწინდელთა მოდა-მუდების ახალგაზდობისასა და მეც რომ იმ უმრავლესთა ნაწილთა ენას არა ვსცე პატივი, მაშინ იქვე უთქმელად და განუსჯელად ფეხებიდამ ჩამომკიდებენ და ტეპერ თქვენ იცით, თქვენო ბლოლოროდიო, გინდ ორად გამაპეთ ორსა ცეცხლსა-გენიასა შიგან მოტანებულიო".

მოსამართლეს გული მოჰლბობია და უპასუხნია: „ვირის აბანოში უნდა გამეგზავნე, მაგრამ, რახან საქმე ასეა, ამ დარიგებას-ღა მოგცემო: როცა ალა-მახმად-ხანელს ქეჩოზე კოტოშსა ჰკიდებდე, იმის ენაზე იჯიჯ-

[1]) ა. გაბრიელი (გვარია)

[2]) ა. ცაგარელი

და ღირს-შესანიშნავი მსჯელობა და აზრი ისმის ამისთანა ადგილებში! ყველა ესენი განსაჯეთ და სინიდისის ქვეშ მოთხარით, შეიძლება თუ არა ამისთანა ადგილზე იმისთანა დაწესებულების ყოფნა, როგორიც სასოფლო სკოლაა!?. რა იმედი უნდა ვიქონიოთ იმ მოსწავლე ყმაწვილებზე, რომლებიც ამისთანა ადგილის ჭაერით სუნთქავენ? როგორის ჯან-მთელობისა და ზნეობის პატრონნი იქნებიან ისინი? ამ კითხვების პასუხი, ალბად კარგათ სცოდნია ადგილობრივ სოფლის მასწავლებელს, რადგანაც ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორისათვის მოუხსენებია, რომ აკეთის საზოგადოება შეუდგა სკოლის შენობის ხელახლად გადაკეთებას პედაგოგიურის მოთხოვნილებისამებრ, მაგრამ იმ ადგილზე, სადაც სკოლავერ იქნება სასურველის ნაყოფის მომტანიო და უთხოვნია განკარგულება. ბ-ნ დირექტორს ამ საგანზედ მიუწერია ვისდამიც ჯერ იყო, რომ საზოგადოებისათვის წინა-დაედვათ სასკოლო ადგილის ამორჩევა იქ, სადაც ჭაერიც კარგი იქნებოდა და სხვა გვარი გარემოებაც ხელს შეუწყობდა სკოლის საქმეს, მაგრამ, ეხლა როგორც ვტყობილობ, სკოლის სადგური ისევ იქ შენდება, სადაც იყო. აა, სასწაულით მოქმედება ჩაილურის წყლისა.

**

მაგრამ ესენი რას გიკვირთ მაშინ, როდესაც, როგორც გვარწმუნებენ აქაური დავიდარაბეთის უნივერსიტეტის უმეცარ ხალხის საყვლეფავ ფაკულტეტზე სწავლა დამთავრებული კაჟ-ბატონები, თურმე შესაძლოა ისეთის საქმის გაჩალებაც-კი, როგორიც არის სამხედრო დებულების აღსრულება უნდა სიმართლე მოგახსენოთ, და ეს სამხედრო დებულება ჯურის ხალხის ბედზე გამოტყვრა ჩვენში. ეს სინიდისისა და პატიოსნებისაგან დაობლებული კაცები ამტკიცებენ, რომ ყველა იქმნება წაყვანილი, ვინც მოსაწოდებელს სიაში (ПРИЗЫВНОЙ СПИСОКЪ) არის შეტანილიო. ხომ იცით ჩვენის ხალხის უვიცობა, მკითხავის და ადვოკატის სიტყვა უფრო სწამს ვინემ სახარების მოძღვრება და შენ რამდენიც გინდა ელაპარაკე, რამდენიც გინდა დარიგება აძლიე, არ დაგიჯერებს. არა სჯერა, რომ უსასყიდლოდ ვინმე ჩემს სასარგებლოს მეტყვის და მირჩევსო. რასაკვირველია, ამისთანა ხალხში ზოგიერთის ავის კაცების სუფევა უხიფათოა. იციან, რომ უძაღლო სოფელში არიან და უჯოხოდ დასეირნობენ. ყველას ჰპირდებიან სამხედრო დებულების მოვალეობისაგან განთავისუფლებას და ყველას უწყალოდ აძრობენ ტყავს.

**

ტყავის გაძრობა ასეთ ქესატობის დროს ბარბაროსობაზედ უსაშინელესია. ამისთანა ფულის სიძვირეს გურიაში კარგა ხანია არ მოვსწრებივართო, ამბობენ. გურულების ფულის შოვნის პირველი სახსარი თამბაქო და სიმინდია. სიმინდი და საზოგადოდ მოსავალი წარსულის წლისა ისე ნაკლები იყო, რომ იშვიათად შეიძლება ვისმე გასაყიდი ჰქონდეს და უმეტეს ნაწილად უნდა იყიდონ კიდევაც. ხოლო რაც შეეხება თამბაქოს, ამის მოყვანა ზოგიერთ ადგილებში (მაგალითებრ, სურებში, ერკეთში, ბასილეთში, ჯვარცხმაში და სხ.) ისე-კი დაემალენ, რომ ფიქრადაც არავის მოსვლია, ვგონებ, ოჯახს გამოკვება უნდა და სიმინდი საჭირო არისო. ვისაც ორიოდე ყანა ჰქონდა ამ ჭირნახულისა, ისიც დაუსრულებელმა ქარიშხლებმა (ენკენისთთვეში) არ დააშწიფეს და მოსცდა. თამბაქო თუმცა ბევრი მოიყვანეს, მაგრამ, როგორც იცით, ჭამა თამბაქოსი არ შეიძლება; არ შეიძლება კაცმა მით ცოლშვილი, შინაური პირუტყვი და ფრინველები გამოკვებოს. თამბაქოს მხოლოდ დარდის და ვარამის მოსაქარვებლად სწევენ და არც ურიგოა. ზოგიერთები კიდევ „სიფრანტით" სწევენ ამ ხარჯსა, მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა. ამ ნაირად ყველა საოჯახო მოთხოვნილება თამბაქოს გაყიდვის იმედზეა დამყარებული. ვაჭრებიც ცოტანი არიან თამბაქოსი და რომლებიც არიან, ისინიც თან-და-თან უკლებენ ფასს, რაკი გაიგეს თამბაქოს მეპატრონეებს ფული ძრიელ უჭიროთ. უცხოელმა ვაჭრებმა რა იცოდნენ აქაური გარემოება, მაგრამ გაუჩნდნენ შინაური დალალები და ყოველივე ასწავლეს, რაც მათთვის სასარგებლო და ხალხისათვის საზიანო იყო...

აქ მრავალ წერტილებს იმიტომ ვუსვამ, რომ სათქმელებს შორის ბევრი უთქმელიც დამრჩა. რაც ვსთქვი, იმაზედაც ბევრს გამიწყრებიან, ვიცი. მაგრამ გაზაფხულია, სიცხიანობაა და ნამეტანი „გაკუჭიანება" არ ვარგა, აწყენთ.

დათიკო გერმიცანაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ინგლისის მტრები ჯავრით აღარ არიან. ინგლისმა ისეთი პირობა შეჰკრა ოსმალეთთან ეგვიპტის თაობაზე, რომ სრულიად უარ-ჰყო ამ პირ-შეკრულობით ყოველივე საერთა-შორისო სიმართლე და უფლებანიო, გაიძახიან ეს მტრები და ვინ იცის, რას არ იგონებენ, რომ გააშავონ ეგვიპტის კონვენციის გამო როგორც ინგლისის მთავრობა, ისე ამ მთავრობის აგენტები.

ახლა როგორ მოახერხა, ინგლისის მტრების აზრით, დრუმონდ ვოლფმა ისეთის პირობის შეკვრა ოსმალეთთან, რომელიც მხოლოდ ინგლისელების სასარგებლოა?

ძალიან ადვილადაო, ამბობს გაზეთი „С.-Пет. Вѣд."-ი. ტყუილად ხომ არ აძლევდა ინგლისის ხაზინა ვოლფს წელიწადში 50,000 მან. ჯამაგირსა. მერე გარემოებაც ხელს უწყობდა ინგლისის აგენტსა; აბდულ-ჰამიდი, ხონთქარი ოსმალეთისა, ძალიან გაჭირვებული იყო ამას წინად და არც დღეს არის კარგს ყოფაში: კრიტის კუნძულზე აჯანყებაა, მაკედონიაში რაღასაც ფაცა-ფუცობენ, ბოლგარიაში ლამის ისიც დაიძახონ, რომ სტამბოლი ჩვენ უნდა შევიერთოთო, ახალ-ბაზარში ავსტრიელები ჯარებს თავს უყრიან, თვით ილდიზ-კიოსკში შეთქმულობა აღმოჩნდა,—მოდი და ამ გვარს ყოფაში თავზე ბალანი ნუ აერევა კაცსა, მერე ისიც აღმოსავლეთის კაცსა, რომელსაც არც შნო აქვს და არც უნარი, რომ სხვის ცბიერი და მანქანებით სავსე ბადე თავიდამ აიცდინოსო.

გაზეთი, რასაკვირველია, ასე არ გაწყრებოდა, რომ სხვას ვისმე მოეგვარებინა კარგად თავისი საქმე და ისეთი პირ-შეკრულობა შეეკრა სხვა სახელმწიფოსთან, რომლის ძალით ყოველ-გვარი სიკეთე ერთსავით მხოლოდ თავისკენ გადაეთალა. მაგრამ სხვა სხვაა და ინგლისი-კი სხვა.

არ გვესმის, თუ სიბრძნე სახელმწიფო კაცთა და დიდი მამულისშვილობა დიპლომატებისა ის არის, რომ თავის ქვეყანას შესძინონ რამე, რატომ ინგლისის მოხერხებული პოლიტიკა ეგვიპტის გამო-კი არ უნდა იყოს შესაწყნარებელი.

იცით რა ჰქმნა ინგლისმა და რა ოინებითა და ხერხით გააბა მახეში ოსმალეთიო? კითხულობს გაალმასებული გაზეთი, თითქო ოინები და ხერხები პოლიტიკაში პირველად ინგლისს ეხმაროს და პირველად იმას მოეგონებინოს. იცით ვისი ხელი ურევია კრიტის კუნძულის არეულობაში? რაღა ეხლა მოუვარა კრიტელებს განთავისუფლების სურვილმა, როცა საბერძნეთმა ფული ისესხა ლონდონში! ვინ აქეზებს არეულობას მაკედონიაში? მოიგონეთ იდუმალი წაბძანება ამ ქვეყანაში მაიორის ტროტტერისა, რომელიც ამ გასეირნების შემდეგ ფრიად კმაყოფილი დაბრუნდა სტამბოლში. ის ვილაა, რომელიც რუმელიელებს აყვარებს ბოლგარიის მთავრებს, თუ არ ყბად-აღებული მისტერ ჯონსი, ეს ინგლისის აგენტების მეთაური? შეთქმულობა ხონთქარის წინააღმდეგ ვილასი მოგონილი-ღა იყო, თუ არ ინგლისის მთავრობის აგენტებისა.

ოსმალეთს ერთი დამცველი არავინ აღმოუჩნდა, გაზეთის „С.-Петербургскія Вѣдомости"-ს მეტი. ნეტა ყოველთვის ასეთი ერთგული ეს გაზეთი ამ ქვეყნისა და ყოველთვის ასე ეცოდება, როცა მართლა და დიდს გაჭირებაში და განსაცდელში ჩავარდება ხოლმე?! ვეჭვობთ.

* *

«Московскія вѣдомости»-ს ერთი მეტად საყურადღებო აზრი მოსვლია ფიქრად, მაგრამ რამდენად სასარგებლო იქნება ამ აზრის შესრულება ქვეყნისათვის, ამისი თქმა მკითხველთათვის მიგვინდვია. გაზეთი ამბობს, რომ

უწინ, პეტრე დიდის დროს, როცა ჩვენს ქვეყანას განათლებული ხალხი ნაკლებად ჰყავდა, სასარგებლო იყო მოგვეწვია და მოგვეზიდნა უცხოეთიდამ ნასწავლი ხალხი, მასწავლებელნი, ინჟინერები და სხვანი, მაგრამ ახლა-კი, როცა ჩვენც ბევრი გვყავს მსწავლულები, არამც თუ საჭირო აღარ არის უცხოეთიდამ მოწვევა მათი, არამედ მავნებელიც არის ჩვენის კეთილ-დღეობისათვის. ამიტომ კანონ-მდებლობა ჩვენი ამ აზრის შესაბამად უნდა შეიცვალოს კიდეცა.

თუ მართლა ასე წინ წავიდა რუსეთი, რომ საჭირო აღარ არიან ევროპიდამ მოსული მცოდნე კაცები, კარგი და პატიოსანი; მაშინ შეიძლებოდა, რომ ევროპის მეცნიერებაც კი აღარ შემოეშვათ სამზღვარზე, მაგრამ ვაი თუ ასე არ იყოს და ძნელი საქმე მაშინ დატრიალდება. რომ სწორედ ასეა და ესეც იქნება, ამაზე თვით გაზეთიც გვემოწმება. გაზეთი ამბობს, რომ სულ სხვაა, როცა უცხოელი სხვა სახელმწიფოში მიდისო და სულ სხვაა, როცა იგივე უცხოელნი ჩვენში მოდიანო.

ევროპის სხვა ქვეყნებს არ ეშინიანთ მშიერის უცხოელებისა: ვინც იქ მიდიან დროებით და სამუდამოდ, მიდიან და ფულსა ჰხარჯავენ და არ იგებენ-კი. ამიტომ, ცხადია, იქ სასარგებლოც არის უცხოელნი მიიწვიონ და მიიზიდონ, რადგან დაჰხარჯავენ იმ ფულებს, რომელიც სხვაგან შეუძენიათ. ანგარიში პირდაპირ სჩანს: გაუთავდებათ თან მიყოლილი ფული და ან წავლენ თავიანთ

---

ნეო, როცა პოპოშნიკის პოპოშნიკს ალამაზებდე, იმის შესაფერად იბუტბუტეო და როცა გლეხს ყელიდამ წურბელას აგდებინებდე, გლეხურად ილაჯუნეო, მხოლოდ უმართებულო-კი არავისთან რა წამოგცდესო. „ეგრე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო". ხომ გაგიგონია: „საცა წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო", როცა შენც ასე მოიქცევი, მაშინ აღარც შენ შესწუხდები და აღარც მე გავირჯებიო. ეგრე, ჩემო ცირულნიკ, „მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა ბნელი გაგითენეო" *, და გაუნთავისუფლებია.

—

ორპირიძეს ძალიან ლამაზი და მდიდარი ქალი შეურთავს ცოლად ბერლინში. ერთხელ იმას მეფური დარბაზობა ჰქონია, როდესაც ფილოსოფოსის ე. გარტმანის კითხვაზედ, თუ იგი რა სარწმუნოებისაა, ოპტიმიზმისაო, უპასუხნია ორპირიძეს. მაშ გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ ჯიბეში ფულის გამოლევა ჯანის გამოლევააო, უთქვამს გარტმანს.

რამდენისამე წლის შემდეგ მთლად ქაღალდში წაუგია ორპირიძეს თავისი დოვლათი. რაღა თქმა უნდა, რომ ყოვლად-შემძლებლობის ასიგნაციების გამოცლასთან მეფური ცხოვრებაც ჩამოსცლია და გაჰქცევია ჯალაბიც. ერთი ეს კი უთქვამს გაბოროტებულ ორპირიძეს: „ვა, წახდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილიო!" * და შიმშილისაგან ძალ-დატანებული მოსულა ერთ მდიდარ ვაჭართან და მოუხსენებია მოწიწებით: „მე აქ მომიყვანა თქვენგან გაზეთებში გაქვეყნებულმა განცხადებამ, რომელიც უხარ-მაზარის აგებულების კუჩერს დაეძებდაო".

„რა სარწმუნოებისა ხარო"? უკითხავ კლაუზენ-სვინოვს. პესსიმიზმისაო", უპასუხნია ორპირიძეს, მაგრამ ვაი ქვასა და წყალს, გაცეცხლებულა კლაუზენ-სვინოვი: „არა, ძმავ, მე ესეთი ორჭოფი ადამიანისა არა მწამსრაო. შენ არ იყავ ერთხელ გარტმანს არწმუნებდი: ოპტიმისტი ვარო?" „ნუ, ნუ გიკვირს, ჩემო სოსია, ქვეყანაში გასაკვირველი არა არის-რა" [5]), იქნება დრო იყოს, რომ ახლა ოპტიმისტი გახლდეო, უთქვამს გულ-მოსულ ორპირიძეს. „ჰო, და ცხონდა შენი დედ-მამის სული, აკი მეც მანდა ვარ: თუ კი იმოდენა ოპტიმისტებსა და პესსიმისტებს აშავებ შენს უპირო ჰოარაობით, შენ ჩემს ცხენებს რაღა კარგს დააყრიო".

ეხლა-კი გაწიწმატებულა ორპირიძე: „თუმცა გონებით, ზნეობით და ბუნებით სწავლაში აღზრდილხართ მაგრამ, ნურას უკაცრაოდ, თავში კი არა გიყრიათ-რა: ნუ თუ არ გესმით, ბატონებო, რომ პესსიმიზმიცა და ოპტიმიზმიც ცხოვრების სხვადასხვაობისაგან დაბადებულან და თავ-თავიანთვე დამბადებელს ემსახურებიანო? განა ეს კი არ მოგეხსენებათ, თქვენო სოვდაგრობავ, რომ нѣтъ ни радости вѣчной, ни печали безконечной. თეთრს ჭეშმარიტოვანს ლოტარის ნაბძანებს მაინც ერწმუნეთ, რომ „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებითო". აბა, თუ ბრძენი ხარ, ეხლა შეგეცნევა ჭკუაზე, მაგრამ რის ბრძენი, რის საწყენი, როდესაც сытое брюхо къ ученью глухо-ო", და გამობრუნებულა კიდეც გამწარებული და ცეცხლმოდებული ორპირიძე, რომელიც თურმე შაუშტვინესავით თავის-თავს მოელაპარაკებოდა გზაში ხელების ფართი-ფურთით შემდეგს:

„მაშასადამე... მაშასადამე: რითი განირჩევა ადამიანი ღორისაგან, რომლის ბედი და უბედურობა მისივე კუჭის ბედ-უბედობაზეა დამოკიდებული. არც დაბადებაში და ახალ-შობილებაშია დიდი განსხვავება, უნდა მოგახსენოთ. თუ განათლებაზე ვიტყვით რასმე და ღორიც იწვრთნება... მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ადამიანს როცა უნდა მაშინა სჭამს ღორს და ღორი-კი—როცა ჩაიხელებს. სიკვდილიც-კი ორთავესათვის მზესავით ერთია და ცოდვა-მადლის მოსამართლეც ღმერთია... განა შენ არა გწამს ჩემო ჭკვის კოლოფო, რო მოვა დრო, როდესაც ორ-ფეხთა სიმრავლის გამო მჟადი ქადის ფასად გახდება და ტროფობის ნაყოფს მუცელშივე გააწყალებინებენ ოფიციალურად, რათა ლოპრიანის ლეკვების საქმე არავის შეემთხვეს? მაშასადამე, ყველა დროს თავისი კანონი ჰქონია.

„იქნება რომ... იქნება რომ... მაგრამ ერიჰა-ა-ა?!.. მე რომ ამ იქნებებს გამოუდგე, სად წავა... ვინ იცის ცოდვილ ქვეყნიერობაზე რა არა ყოფილა და რა არ იქნება. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ რასაც დღეს კანონი ამტყუნებს, ერთ დროს ის კანონს გაამტყუნებს, თორემ ამას ბუნების კანონივე მოასწავებს და გვიჩვენებს: ყოველი შეერთების ნაყოფი რომ ქვეყნად მოსულიყო, მაშინ ხომ რაღაცების რაღაცა იქნებოდა ქვეყანა. ერთი ამაში-კი შემცდარია ბუნება, რომ ერთ დროს ორფეხთა შესათხელებლად ცოდვილის ადამიანის ხელი უნდა დაიმშეელიოს... ეჰ, მახლას, სომხისა არ იყოს.

„ვიტყოდი და ვიტყოდი, მაგრამ ახში ხომ უნდა გავჩუმდე და მაშ თქმას რაღა ფაიდა აქვს?.. არა, მოდი ერთი ამას მაინც გავიგებ: ბატონო, ჩემო ჭკუის „ღრუბელნატორო", ამიხსენ, თუ ღმერთი გწამს: ეს რა ამბავია ყველანი, თუთიყუშივით იმეორებენ: „განათლება", „კაცობრიობა" „კაცთ-მოყვარება", და სხვასა მრავალსა მგზავსსა მათისასა და რას ჰნიშნენ ეს სიტყვები, ამას კი როდი-ღა დაგიდევენ. აი თუნდა მაგალითად: რით განირჩევიან ზოგნი ერთნი დიდნი, რომელთაც პაწიებისთვის კლანჭები ჩაუყლიათ, იმ სალახანა გოგო-ბიჭებისაგან, ფრინველს რომ შეიპყრობენ ხოლმე და ფრთებ-შემოკვეცილს თავიანთ ჰკვაზე ახტუნებენ? ეჰ, „ძნელია ნაღვლის უნაღვლოდ თქმა" [6]), მაგრამ... რას იქ აბა.

„რას მოგახსენებდით?.. ჰო, ან კიდევ ეს: ზოგ-ზოგი ცუდად-გდებისაგან დალაფასიანებული მცონარა კუდა-მხედარი ჯიბეებსაც კი იტენავს არა წმინდაობით და ზოგიერთს ქვეყნის მალამოდ მოვლინებულს კი შიმშილით კუჭი ეწვება. ოჰ, უფალო დიდებისავ, განა ქვეყნისთვის თავ-დადებულ მოძღვარს კუჭის სარჩო მაინც არ უნდა ეყვედრებოდეს ქვეყნისაგან?! განა იმას, ვინც მთელს თავის სიცოცხლეში ერო იყო და არა ხერხი, პენსია უნდა ეძლეოდეს, და ვინც მთელს თავის სიცოცხლეს ნეტარ-ცხოვრების წყაროების გამოჩენას ალევს, იმას კი ხელს არ უნდა უმართავდნენ ერთი ლუკმა პურით?!! O tempora, o mores"! [7]) „ოლონდაც რო მართალს ჰბრძანებ ჩემო ჭკუის ღრუბელნატოროვო" უთქვამს გულ-ამოსკვნით საცოდავ ორპირიძეს და მხოლოდ ერთმა ალლახმა-ღა უწყის საით გადაკარგულა; მოგახსენებენ-კი, რომ ერთ დროს ოდესმე გამოჩნდება ჭიტა-ვარსკვლავსავით და დიდის ქონებითა და გონებითაც გამოჩნდებაო...

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

5) ნ. არდაზიანი

6) ი. ჭავჭავაძე

7) ციცერონი

ქვეყანაში, ან მშივრები დაიხოცებიან. ასე არ არის რუსეთში. ჩვენში-კი სულ სხვა გარემოებაა: ჩვენში იმიტომ მოდიან, რომ ფული შეიძინონ და არა დაჰხარჯონ. აქ იძენენ ფულს და მერე სამზღვარ-გარედ ჰგზავნიან. იცხოვრებენ ჩვენში დიდხანს, შეჰკრებენ ფულს და მერე მიდიან ისევ თავიანთს ქვეყნებში.

* * *

რა გვარს კაცს არ იპოვნის კაცი ქვეყანაზე და რა ახირებულს მოსაქმეს არ შეხვდება. ასეთი ახირებული მოსაქმე ყოფილა სწორედ ფრანგი პიქოცა. აბა ვინ იფიქრებს, რომ კაცმა აიღოს გუდა-ნაბადი და მთელი ქვეყანა შემოიაროს, იმიტომ-რომ შეჰკრიბოს სურათები ყველა ლამაზის ქალებისა დედა-მიწის ზურგზე. პიქოს სწორედ ეს საქმე უკისრნია; შემოუვლია ქვეყანა და ალბომი შეუდგენია ლამაზის ქალებისა. რუსების ქალებზე ლამაზ ქალების მოყვარე ბ-ნი პიქო ამბობს, რომ

რუსეთის ქალები მეტად სხვა-და-სხვა ნაირის სახისანი არიანო. ტიპი ამ ქალებისა ძალიან არეულია: აქ ჰნახავთ ისეთსაც, რომელიც შავგვრემან ისპანიელს ქალს მოგაგონებთ და ისეთსაც, რომ გოტეს გრეტხენსა ჰგავსო; შეჰხვდებით პაწაწა თვალებიან ჩინელ ქალის მგზავსსაც და ხარ-თვალა ქართველ ქალისთანასაცაო.

ქართველ ქალებს კიდევ ხარის თვალებით შეუძლიანთ მოიწონონ თავი.

## რუსეთი

— ამ ახლო ხანებში სახელმწიფო საბჭო განიხილავს კანონ-პროექტს იმის შესახებ, თუ უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომნი რა წესით უნდა იქმნან მიღებულნი რუსეთის ქვეშევრდომებად და რუსეთის ქვეშევრდომთ როგორ უნდა მიიღონ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომობა. აი ეს კანონ-პროექტი: ა) სუყველა რუსეთის ქვეშევრდომს ნება აქვს მიიღოს უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომობა დაუბრკოლებლად, თუ ეს უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად გადასვლა არ არღვევს რაიმე ვალდებულებას რუსეთის წინაშე; ბ) ის რუსეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებად ჩაირიცხებიან, თუ დაბრუნდნენ რუსეთში და ერთს წელიწადზე მეტი იცხოვრეს, ისევ რუსეთის ქვეშევრდომებად ჩაითვლებიან; გ) სამზღვარ-გარედ მცხოვრებელი რუსეთის ქვეშევრდომი, თუ რუსეთის მთავრობის მოწვევით არ გადმოვიდა სამშობლოში, როდესაც დაბრუნდება, დატუსაღებულ იქნება ციხეში ერთის თვიდამ ერთს წლამდე; დ) ვინც სამხედრო ბეგარის ასაცილებლად უცხო სახელმწიფოში გადასახლდება, ის, როდესაც სამშობლოში დაბრუნდება, დასჯილი იქნება: მშვიდობიანობის დროს ექვსის თვიდამ ერთს წლამდე ციხეში დაპატიმრებით და ამას გარდა ზოგიერთნი უფლებანი აეხდება და თუ ამ გვარი დანაშაულობა ჩაიდინა ომიანობის დროს, მაშინ ბრალდებულს ყოველივე უფლება აეხდება და ციმბირში გაიგზავნება; ე) თუ ვინიცობაა რუსეთის ქვეშევრდომი რუსის მთავრობის მოწვევით თავის დროზე არ გადმოვიდა რუსეთში და არც შესაწყნარებელი საბუთი წარმოადგინა თავის გადმოუსვლელობისა, მაშინ იმას მამულებს სახელმწიფო ჩაიბარებს დროებით.

## უცხოეთი

ბოლგარია. ამ ორის კვირის წინად სამზღვარ-გარეთის ჟურნალ-გაზეთობამ გაავრცელა ხმა, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას განზრახვა აქვს ბოლგარიის კოროლად ოსმალეთის სულთანი გამოაცხადოს და ბატტენბერგი იმის მოადგილედ ამოირჩიოს ბოლგარიაშიო. სლავიანური გაზეთები ამბობენ, რომ ბოლგარიაში დიდი ხანია არსებობს ერთი დასი, რომელსაც სულთანის ბოლგარიის კოროლად ამორჩევა აქვს განზრახული, მაგრამ ამ დასს არასოდეს არ თანაუგრძნობდნენ არამც თუ მკვიდრნი, არამედ რუსეთის მტერნიც-კიო. ამ დასის მეთაურად აქამდე ფილიპპოპოლში იყო დ-რი ჩომაკოვი, ოსმალეთის მოხელედ ნამყოფი, და თვით ეს დასიც უმეტესად შესდგებოდა ალექო-ფაშის ძველ მოხელეთაგან. ამ ბოლოს დროს-კი თურმე ძალიან გაიდგა ამ კომიტეტმა ფეხი. სარეგენტო მთავრობა თურმე ყოველისავე ღონის-ძიებითა ცდილობს ამ დასის პირ-ქვე დამხობას და ვერა გაუწყვიარა. ბოლგარებს ერთი-და რამ აწუხებთ ამ ჟამად. თუ მართლა ამ დასმა თავისი სურვილი აისრულა და სულთანი გამოაცხადა კოროლად, ბატტენბერგი ისევ დაგვიბრუნდება და თავისებურად მშვენივრად წაიყვანს კიდევ საქმეებს და ბოლგარიას ფეხზედ დააყენებსო... სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას ფული ძალიან უჭირს ამ ჟამად, ბევრ სახელმწიფოთ მიჰმართა, მაგრამ ვერა ეშველარა, ვერსად ვერ იშოვნა ფული სესხად. ახლა გაზეთების სიტყვით, ავსტრი-ვენგრიას განუზრახავს ხელი გაუმართოს ბოლგარებს რუსეთის წინააღმდეგ და ეს გაჭირებული მთავრობა ბოლგარიისა ფეხზედ წამოაყენოს. ამას წინად ავსტრიის საადგილ-მამულო ბანკის დირექტორს ბ-ხსგანს დიდი თათბირი და მოლაპარაკება ჰქონია სტოილოვთან და სესხზედ ისე მორიგებულან, რომ ამ ორ დღეზედ ნასესხი ფული ბოლგარიაში იქმნება სტოილოვის ძიერ გაგზავნილიო. ამას გარდა ბოლგარიაში ამ ჟამად დიდ-ძალი კათოლიკეთა მასსიონერნი არიან თურმე, რომელთაც ამას წინად სოფიაში კათოლიკეთა ქალების სასწავლებელი დაუარსებიათ და 150-მდე შეგირდი-ქალი დადის კიდეც ამ სასწავლებელშიო. ყველა აქედგან ის დასკვნა გამოდის, რომ ბოლგარიას განუზრახავს ყოველისავე ღონის-ძიებით წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ყოველსავე სურვილს და ერთის იოტის ოდენაც არ დაუთმოს ამ სახელმწიფოს, მით უმეტეს, როცა ისეთი ხელის შემწყობნი და წამქეზებელნი ჰყავს, როგორიც არის, მაგალითებრ, ინგლისი და ავსტრი-ვენგრია.

ინგლისი. ირლანდიის საქმე ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ. სამზღვარ-გარეთის გაზეთებს რომ ყური დაუგდოს კაცმა, ინგლისი და ირლანდია თავის დღეში ვერ მორიგდებიან ერთმანერთშიო. ისე არიან თურმე ერთმანერთზე გადაკიდებულნი ინგლისი და ირლანდია, რომ ამ გადაკიდებამ და მტრობამ ერთმანერთისამ ამას წინად ინგლისის დედოფლის ვიქტორიას ორმოც-და-ათის წლის იუბილეის დღესასწაულის დროსაც-კი იჩინა თავი. საქმე იმაშია, რომ საპარლამენტო ეკკლესიაში პარაკლისი გადაუხდიათ და პალატის ირლანდიელნი წევრნი-კი არ მიუწვევიათ ამ პარაკლისზე. თუმცა შეიძლება თვით ირლანდიელნი წევრნიც არ დასწრებოდნენ, რომ დაეპატიჟნათ კიდეც, მაგრამ ეს დაუპატიჟებლობა-კი დიდად სწყენიათ ირლანდიელ წევრებს. ინგლისელთა და ირლანდიელთა შორის მტრობა დღითი-დღე მატულობს თურმე. გამოჩენილი ირლანდიელი ო'ბრიენი წასულა, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, კანადაში, რომ იქ მკვიდრთ შორის ამბოხება გამოეწვია მარკიზ ლანსდოუნის წინააღმდეგ, მაგრამ ვერა მოუხერხებია-რა.

— თუმცა ოსმალეთმა და ინგლისმა მორიგებაზედ ხელი მოაწერეს ეგვიპტის საქმის გამო, მაინც ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ეს მორიგება განხორციელებული არ იქმნება 1885 წ. 24 ოქტომბერს შედგენილ მორიგებასავითაო. მაშინაც ინგლისის მთავრობის მეთაურად სალისბერი იყო და იმავე ვოლფმა შეადგინა მაშინ დ მორიგებას ქაღალდი; მაშინაც ისევე იყო შედგენილი პირობის ქაღალდი, როგორც ეხლა და იმავე მუხლებისაგან შესდგებოდა. ამ პირობის ქაღალდში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ თუ ეგვიპტეში რაიმე არეულობა მოხდა, ან სხვა რომელიმე სახელმწიფომ მოიწადინა ამ ქვეყნის დამორჩილება, მაშინ მხოლოდ ინგლისსა და ოსმალეთს შეუძლიანთ ჩაერიონ ეგვიპტის საქმეში თავის ჯარებით, თუ ერთად და თუ ცალკ-ცალკეო. რასაკვირველია, ამ მუხლის წყალობით ეგვიპტე ისევ ინგლისის ხელში ვარდება, რადგან ოსმალეთი არას დროს არ გაჰგზავნის თავის ჯარებს ნილოსის ნაპირებზე. აი სწორედ ეს მუხლი გამოიწვევს საფრანგეთის წინააღმდეგობას, რომელიც არასოდეს არ დასთანხმდება, რომ ეგვიპტეში ინგლისი ბატონობდეს.

## დეპეშა

21 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: შავის ზღვის გემების მოსამსახურეთა კრებულებს ნება მიეცეთ გაიკეთონ ქუდებზე გიორგის ლენტები, იმ ზედ-წარწერის მაგიერ, რომელიც სევასტოპოლის დაცვის გამო ნაბოძები იქმნა 1855 წ. კივერებზე *) გასაკეთებლად და გამოცვლილი 1857 წ.

სემიპალატინის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი ფრიდე, დაინიშნა იაროსლავის გუბერნატორად.

გუშინ დაიწყო მოქმედება პეტერბურგისა და აზოვის სავაჭრო ბანკმა. ძირის ფული ბანკისა ამ თავით ერთი მილლიონი მანეთია.

„Новое Время“ გვაუწყებს, რომ წესდება სახელმწიფო ეგზამენების შესახებ დაბოლოვებით შემუშავებულია, ხოლო დამტკიცებული და გამოცხადებული იქნება ამავე სასწავლო სემესტრშიო.

პარიჟი. დეპუტატთა პალატაში ეპისკოპოსმა ფრეპპელმა შეიტანა წინადადება და ითხოვა სამხედრო კანონის განხილვა მეორე სესიისათვის გადაიდოსო, მაგრამ რუვიემ წინააღმდეგობა გამოაცხადა. რუვიეს აზრი შეწყნარებულ იქმნა 446 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 60-სა.

სტამბოლი. გაზეთებში რომ სწერდნენ, ვითომ სულთანის წინააღმდეგ შეთქმულობა აღმოჩნდაო და მრავალი კარის-კაცნი მექაში გაიგზავნაო, ტყუილია. როგორც ოფიციალურად აცხადებენ, სამსახურიდამ გამორიცხულ იქმნა მხოლოდ რამდენიმე კაცი სულთანის შვილის პრინც სელიმის ამალიდამაო.

*) კივერი უწინდელის ჯარის-კაცების ქუდებია, რომელნიც ეხლა ხელ-ხელა ხმარებიდამ გამოდის.

23 მაისს

პეტერბურგი. გამოცხადებულია, როგორ უნდა შეიცვალოს საბაჟო ტარიფი სვიაზე: დაინიშნა 10 მან. თითოეულ ფუთ სვიაზე და 30 მან. სვიის ექსტრაქტზე ოქროს ფულითა.

გამოცხადებულია დებულება, შესახები პეტერბურგის პრაქტიკულის სატეხნოლოგო ინსტიტუტისა: ვიდრე გადასწყდებოდეს, რა უფლებანი ექმნებათ სამსახურში იმათ, ვინც ინსტიტუტში სწავლას დაამთავრებს, ინჟინერ-ტეხნოლოგებს ექმნებათ მე-10, ხოლო ტეხნოლოგებს—მე-12 კლასის ხარისხი.

კიევი. ყუმბარების დაშლის დროს ციხეთა არტილერიის ლაბორატორიაში, იფეთქა ყუმბარამ. ერთი კანონირი ნაკუწ-ნაკუწად დაიჭრა, ხოლო ორნი მძიმედ დასახიჩრდნენ.

კილი. გუშინ იმპერატორმა ვილჰელმმა ჩაჰყარა საძირკველი ზღვის არხისა, ჩრდილოეთისა და ბალტის ზღვას შუა გასაყვანისა.

ვლადივოსტოკი. გემი კერძო ფლოტისა „Кострома“, რომელშიაც 1000 ტონნი ტვირთი იყო და 236 პატიმარი, მიდიოდა ალექსანდროვსკის პოსტსა სახალინის კუნძულზე. 16 მაისს გემი გავიდა კორსაკოვის პოსტიდამ დუეში საღამოს 7 საათზე და 15 წამ., შემოუხვია კრილიონის კონცხსა და გასწია ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, სწორედ ამ დროს ჩამოწვა ნისლი, ნახევარ საათს უკან გემი დაეჯახა წყალში კლდესა სირაპუსის კონცხთან; ტრიუმი და მაშინა მალე გაივსო წყლითა, ძირს წყალი ძრიელ ეჯახებოდა, წყალმა გაავსო ის ადგილიც, საცა ცეცხლი ანთია; წყლის გადაშხეპა შეუძლებელი იყო; საღამოს 10 საათზე წყალი მიადგა საემიგრანტო პალუბას ანუ გემის ბანს. დედაკაცები და ყმაწვილები ორის პატარა ნავით გადიყვანეს ნაპირას. დილით 18 მაისს დაწყნარდა ჰაერი, ნისლი და ჯანყი გაიფანტა, კომანდირმა მოსძებნა სახერხო ადგილი და იქ გადიყვანა პატიმარნი, რაზმი, ბარგი და სურსათი; ყველანი გადარჩნენ და კარგად არიან. 18 მაისვე დილით გაისროლეს ზარბაზანი „კრილიონის“ კანდელიდამ და შეაყენეს გემი «Владивостокъ»-ი, რომელიც კორსაკოვის პოსტიდამ მოდიოდა ეს გემი მივიდა უბედურების ადგილთან და წამოიყვანა პატიმარნი და ჯარის კაცნი ალექსანდროვსკის პოსტში. გემის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ კარგს ამინდში. მოვიდა თუ არა ეს ამბავი ვლადივოსტოკს, უფროსმა კომანდირმა დაუყოვნებლივ გაჰგზავნა,, საცა უბედურობა მოხდა, კლიპერი „Наѣздникъ“-ი და გემი „Ярославль“ ი ლოკომობილითა, მცურავებითა და სხვა გვარის საშუალებითა; გემს „Владивостокъ“-საც ებძანა, რომ დაღუპულს გემს მიეშველოს.

მერვი. სავაჭრო მნიშვნელობა იმიერ-კასპიის რკინის გზის უფრო და უფრო ძლიერდება; სადგური სავსეა შუა-აზიის საქონლითა; უფრო ბევრია ბამბა. რადგანაც ბევრი შუა ალაგს არის, ამიტომ ვაჭარნი შუამდგომელობენ, რომ ამ ქალაქშიაც დაწესდეს ისეთივე იარმარკა, როგორიც ირბიტსკის ქალაქშია.

ვენა. მთავარი ჩერნოგორიისა გავიდა დღეს აქედამ ვიშის [illegible] იქ უნდა იწამლოს.

რომი. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა პალატაში, რომ მთავრობა უარს ვერ იტყვის იმ სავაჭრო და საპოლიტიკო საგნებზე, რომელიც დაკავშირებულია მასსოვის ოკკუპაციასთან და რომ იტალიის სახელის აღსადგენად გადასწყდა გაგველაშკრა აბისინიის წინააღმდეგაო. პალატას თავის დროზედ სთხოვენ, რომ გადასდოს ამ საქმისათვის საჭირო ფულიო. კრისპიმ სთქვა, სამინისტრო წინააღმდეგია, რომ მასსოვიდამ გამოყვანილ იქმნას ჩვენი ჯარიო. მთავრობის ლაპარაკი ცნობაში მიიღო პალატამ თითქმის ერთხმად.


## კერძო განცხადებანი

ისყიდება ფასის დათმობით

ტფილისში ყველა წიგნების მაღაზიებში და ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში, ალექსანდრე ეპისკოპოზის ძიერ დაბეჭდილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
| --- | --- | --- |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . . | 3 | „ |
| ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა, შედგენილი თ. რ. დ. ერისთავისაგან . . . . . . . . | 1 | „ |
| ხმა ცოდვილისა. თხზ. გიორგი ავალიშვილისა . . . . | „ | 30 |
| ღრამატიკა ანტონ ქათალიკოსისა . . . . . . . . | 1 | 50 |
| ეპისკოპოსის ამბროსის სიტყვანი და მოძღვრებანი . . | „ | 50 |

(3—2)

# გილლესა და ლიტრიხის

ქირარდოვის მანუფაქტურების უმაღლესად დამტკიცებულ საქციონერო საზოგადოების უმთავრესს საწყობ მაღაზიაში

მიღებულია დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი

## პარუსინა და ყაჭის მატერია

კიტელებისათვის, სხვა-და-სხვა ფერის ტილოები ყმაწვილებისა და კაცების ქილეტკებისათვის, ხუფრები, ხალფეტკები, პირსახოცები. არის ხუფრები 6,12, 18 და 24 კაცისათვის. ჩუქები ყმაწვილებისა და ქალებისათვის, წინდები კაცებისათვის თეთრისა და კრემის ფერისა.

ამას გარდა მაღაზიაში ბევრ-გვარი პარუსინებია კარვებისა და ტილოს ტომრებისათვის, მზა-მზარეული ტილოს ტომრები, პარუსინები ბრეზენტებისათვის; მზა ბრეზენტები ყოველ-გვარის სიდიდისა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებელ ვაჭრებს სურვილისამებრ ნიმუშები გაეგზავნებათ.

ტფილისში: სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა ბანკისა.

ბაქოში: ოლგის ქუჩა, სახლი ბალაბეგ ლალაევისა.

დონნერი და ლეიტსი

(5—4)


Дозв. цен. Тиф. 23 мая, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე